

საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2021 წლის 30 ივნისის #01-05-17/06 ერთობლივი დადგენილებით

საქართველო, ქ. თბილისი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

2021

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) საერთაშორისო აკრედიტაციის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებით, ცენტრის პერსონალის სამუშაოთა აღწერილობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ცენტრი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე, რომელიც ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. ცენტრის მიზნები და ამოცანები, სტრუქტურა

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაციით უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
2. ცენტრის ამოცანებია:
2.1. საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების სტანდარტების შესაბამისად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, შესაბამისი წინადადებების შემუშავება;
2.2. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების უზრუნველსაყოფად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება;
2.3. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების მიზნით შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
2.4. უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და უფლებამოსილება

1. დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ცენტრი უფლებამოსილია:

ა) მოამზადოს პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციისთვის დასკვნები;
ბ) მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებსა და კონფერენციებში;
გ) უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურთან კოორდინაციით მოამზადოს წინადადებები საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად უნივერსიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე;
დ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების უზრუნველსაყოფად დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების საფუძველზე წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია და მონაწილეობა მიიღოს შესაბამის პროცედურებში;
ე) მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად უზრუნველყოს შესაბამის საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობა;
ვ) განახორციელოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები.

თავი III. ცენტრის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

მუხლი 4. ცენტრის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს რექტორი.
2. ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია რექტორის, რექტორის მოადგილის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) წინაშე.
3. ცენტრის დირექტორი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას და პასუხისმგებელია დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
ბ) ანაწილებს თანამშრომლებს შორის ფუნქციებს და აკონტროლებს მათ საქმიანობას;
გ) შეიმუშავებს ვადებში გაწერილ გეგმას შესრულებული სამუშაოს მონიტორინგის პროცესის განსახორციელებლად;
დ) საჭიროების შემთხვევაში რექტორის მოადგილეს აწვდის არგუმენტირებულ ინფორმაციასა და რეკომენდაციებს საკადრო ცვლილებების ან ცენტრის პერსონალის დისციპლინური და წახალისების ღონისძიებების გამოყენების თაობაზე;
ე) პერიოდულად წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს რექტორს;
ვ) პერიოდულად ისმენს შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს დაქვემდებარებული პერსონალისგან;
ზ) უფლებამოსილია დასვას საკითხი საშტატო ნუსხის გაზრდის ან შემცირების საკითხი;
თ) უზრუნველყოფს ცენტრის წინაშე წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, რექტორის ინფორმირებასა და ეფექტიანი გადაწყვეტის გზების შემუშავებასა და აღმოფხვრას;

ი) ახორციელებს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული პირი ხელფასის სათანადო სხვაობის ანაზღაურებით.

5. ცენტრის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

6. ცენტრის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. ცენტრის თანამშრომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

2. დებულება ძალადაკარგულად ითვლება ახალი დებულების დამტკიცების ან/და ცენტრის ლიკვიდაციის შემთხვევაში.